



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

12 ნოემბერი 2012 წელი

**ბრძანება №229**

**ილია ვაშაყმაძის მივლინების შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39<sup>1</sup>-ე მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი – ილია ვაშაყმაძე, უკრაინის რესპუბლიკის ქალაქ უკრაინკაში, „ქალაქების მდგრადი განვითარების“ პროექტების პრეზენტაციებში მონაწილეობის მიზნით მიმდინარე წლის 14 ნოემბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მივლინებაში ყოფნის პერიოდში გამგებლის მოვალეობის შესრულება დაევალოს გამგებლის მოადგილეს ლავრენტი ქვილორიას.

3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს – ილია ვაშაყმაძეს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი